საქართველო

კრიზისების მართვის ეროვნული სისტემა

უწყებათაშორისი
სახელმძღვანელო

სახელმძღვანელო შექმნილია ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (Substantial NATO-Georgia Package, SNGP) კრიზისების მართვის ინიციატივის ფარგლებში, დანიის სამეფოს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს (Danish Emergency Management Agency, DEMA) მხარდაჭერით

სახელმძღვანელო შეთანხმებულია ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის კრიზისული ვითარების მართვის ეროვნულ ცენტრთან და შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან

2023

სარჩევი

1. დასკვნითი დებულებები 1
2. კრიზისების მართვის ეროვნული სისტემა 3
3. ეროვნული კონცეპტუალური დოკუმენტების და სამართლებრივი ბაზის ზოგადი მიმოხილვა 15
4. საერთაშორისო თანამშრომლობა 21
5. გამოყენებული ტერმინები 25
6. გამოყენებული ლიტერატურა 29

1. დასკვნითი დებულებები

სტრატეგიული მიზანი

საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე, კრიზისების მართვის ეფექტიანი სისტემის ფუნქციონირება. სამოქალაქო უსაფრთხოების სისტემის გამართული მუშაობა უზრუნველყოფს ცხოვრებისა და საქმიანობისთვის უსაფრთხო გარემოს, ქვეყნის მდგრადი განვითარების ხელშეწყობას და საზოგადოების მედეგობის განმტკიცებას, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კლიმატის ცვლილებასთან ერთად გახშირებული ბუნებრივი კატასტროფების ფონზე.

აღნიშნული მიმართულებით ერთიანი სამთავრობო მიდგომა გამყარებულია შესაბამისი სამართლებრივი ბაზით, კონცეპტუალური და ეროვნული დონის სტრატეგიული დოკუმენტებით, რომელთა გადახედვაც ხორციელდება პერიოდულად არსებული საჭიროებებიდან გამომდინარე.

დღეს ქვეყანაში მოქმედებს კრიზისების მართვის ცენტრალიზებული სისტემა, რომელიც სამთავრობო სექტორებს ანიჭებს უფლებამოსილებას, რომ მოახდინონ ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით განპირობებული კატასტროფების რისკის პრევენცია, რეაგირება და შემდგომ სწრაფი აღდგენა. საქართველო მუდმივად ესწრაფვის მსოფლიოში აპრობირებული საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას და უზრუნველყოფს აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას.

მჭიდრო უწყებათაშორისი თანამშრომლობით, საქართველო ეფექტურად ახდენს ეროვნული რესურსების გადანაწილებას და საერთაშორისო დონორებთან ორმხრივი, მრავალმხრივი და რეგიონული ფორმატების გამოყენებით უზრუნველყოფს ქვეყნის საჭიროებების დაკმაყოფილებას ყველა დონეზე.

მთავარი დანიშნულება

საქართველოში გახშირებულია ადგილობრივი და ეროვნული მასშტაბის ბუნებრივი ან/და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფები, რასაც თან სდევს ადამიანური თუ მატერიალური დანაკარგები. კლიმატის გლობალური ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების სიხშირეს თან ერთვის ჭარბი ურბანიზაცია, საცხოვრებელი სახლების სახიფათო ზონებში განთავსება და სხვა ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული საფრთხეები, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება მოსახლეობის უსაფრთხოებაზე.

საქართველო, გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, მოწყვლადია ისეთი ფართომასშტაბიანი ბუნებრივი ან/და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფებისადმი, როგორიცაა: მიწისძვრა, წყალდიდობები და წყალმოვარდნები, მეწყერი, ღვარცოფი, ზვავები, სეტყვა, გვალვა, ძლიერი ქარები, ტყის და ველის ხანძრები და ა.შ. ყველა ზემოჩამოთვლილი საფრთხე, მისი ინტენსივობიდან და სიძლიერიდან გამომდინარე, იწვევს ადამიანურ მსხვერპლს, მოსახლეობის იძულებით გადაადგილებას, ინფრასტრუქტურის განადგურებას, რაც, შესაბამისად, უარყოფითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და მდგრად განვითარებაზე.

ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეულმა პანდემიამ ნათლად წარმოაჩინა, რომ გლობალიზაციის პირობებში, მსოფლიოს ერთ წერტილში აღმოცენებულმა ინფექციამ, შესაძლოა, მოკლე დროში ეპიდემიის სახე მიიღოს და შემდგომ, პანდემიაში გადაიზარდოს.

შესაბამისად, წინამდებარე სახელმძღვანელო მიზნად ისახავს ყველა დაინტერესებული მხარისთვის (სამთავრობო უწყებები, დიპლომატიური კორპუსისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები, საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეები), საქართველოს კრიზისების მართვის ეროვნული სისტემის, მისი ორგანიზაციული სტრუქტურის, ამოცანების და მართვის რგოლის გაცნობას, ისევე, როგორც მთავარი კონცეპტუალური დოკუმენტების, სამართლებრივი ბაზის და საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმატების მიმოხილვას.

2. კრიზისების მართვის ეროვნული სისტემა

საქართველოს კრიზისების მართვის ეროვნული სისტემა წარმოადგენს სამთავრობო უწყებების კოორდინირებული და ეფექტური ქმედებების ერთობლიობას, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის და გარემოს დაცვას ყველა დონეზე. ამასთანავე, საქართველოს აქვს კატასტროფების რისკის დაგეგმვისა და მართვის კარგად ჩამოყალიბებული მოდელი, რომელიც შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებით იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ დაადგინოს კატასტროფის სავარაუდო ზეგავლენა (პირდაპირი და არაპირდაპირი) და უზრუნველყოს ყველაზე ეფექტური ქმედებების განსაზღვრა და განხორციელება კატასტროფის მძიმე შედეგების შესამცირებლად ან მის აღმოსაფხვრელად.

2.1. საქართველოს კატასტროფის რისკის მართვის მოდელი

კატასტროფის რისკის მართვის კონცეფცია წარმოადგენს სამთავრობო უწყებების მიერ გატარებული ღონისძიებების ერთობლიობას, რომლის მიზანია კატასტროფებისგან ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა, გამოწვეული სოციალური, ეკონომიკური და გარემოს ზიანის თავიდან აცილება ან შემცირება, სწრაფი რეაგირების და ეფექტური აღდგენითი სამუშაოების უზრუნველყოფა.



ბუნებრივი თუ ადამიანური ფაქტორით გამოწვეული კატასტროფის რისკის მართვა წარმოადგენს სისტემურ პროცესს, რომლის დროსაც ხდება ადმინისტრაციული, ინსტიტუციური, საოპერაციო უნარებისა და შესაძლებლობების მობილიზება პოტენციურ საფრთხეებთან ბრძოლის შესაძლებლობების გაზრდის ან

კატასტროფის დადგომის შემთხვევაში, უარყოფითი შედეგების მასშტაბისა და ინტენსივობის მინიმუმამდე შემცირების მიზნით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში ფუნქციონირებს კატასტროფის რისკის მართვის ოთხფაზიანი სისტემა, რომელიც მოიცავს პრევენციას, მზადყოფნას, რეაგირებასა და აღდგენით სამუშაოებს.

კატასტროფის რისკის მართვის ინტეგრირებული მოდელის შემადგენელი კომპონენტებით განსაზღვრული ღონისძიებების ხანგრძლივობა განსხვავებულია. რისკის თავიდან აცილება/პრევენცია და მოსალოდნელი საფრთხისადმი მზადყოფნა შესაძლებელია განგრძობით პროცესებთან იყოს დაკავშირებული. კრიზისულ ვითარებაზე რეაგირება, როგორც წესი, შედარებით ხანმოკლე პროცესია (გამონაკლის შემთხვევას წარმოადგენს ახალი კორონავირუსი). აღდგენითი და სარეაბილიტაციო სამუშაოები ძირითადად დიდ დროს საჭიროებს და აქედან გამომდინარე, ხანგრძლივ პროცესს წარმოადგენს *(სურათი №1).*

სურათი №1



2.2. კატასტროფის რისკის მართვის პროცესი

კატასტროფის რისკის მართვის პროცესი გულისხმობს მოსალოდნელი ინციდენტის გარემოებებისა და კონტექსტის დადგენას, რომლის საფუძველზეც იწყება რისკის შეფასება. რისკის შეფასება შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: საფრთხის დონის იდენტიფიცირება, გაანალიზება, მოსალოდნელი საფრთხის (რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებული) შესაძლო ყველაზე უარესი სცენარის განსაზღვრა და შესაძლო უარყოფითი შედეგის გამოთვლა.

მხოლოდ ზემოაღნიშნული პროცესების დასრულების შემდეგ ხორციელდება რისკის შემცირების ღონისძიებების დაგეგმვა და იმპლემენტაცია. იმ შემთხვევაში, თუ პრევენციული ღონისძიებების შედეგად ვერ მოხერხდა რისკის აღმოფხვრა, ხდება მასზე რეაგირება *(სურათი №2).*

რისკის მართვის პროცესი საჭიროებს მუდმივ მონიტორინგს და აქვე, აუცილებელია მუდმივი კომუნიკაციის უზრუნველყოფა შესაბამის სახელმწიფო თუ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან.

სურათი №2



ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის კოორდინაციით, უწყებათაშორისი თანამშრომლობის ფარგლებში, ხდება ეროვნული დონის საფრთხეებისა და რისკების გამოკვეთა, იდენტიფიცირება და ანალიზი, მათი შეფასება ალბათობის (ძალიან დაბალი, დაბალი, საშუალო, მაღალი, ძალიან მაღალი) და გამოწვეული უარყოფითი შედეგის (მსუბუქი, საშუალო, სერიოზული, ძალიან სერიოზული, კატასტროფული) განსაზღვრის მეთოდით. საფრთხის შეფასების შედეგად, განისაზღვრება რისკის დონე (დაბალი, საშუალო, მაღალი, ძალიან მაღალი) და პრიორიტეტულობა რისკის

შეფასების ორგანზომილებიან სკალაზე *(სურათი №3).* ეროვნული ინტერესებისთვის საფრთხის შემცველი ძალიან მაღალი, მაღალი ან საშუალო დონის საფრთხეები აისახება „საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტში“ და მუშავდება ბუნებრივი ან/და ადამიანური ფაქტორით გამოწვეული კატასტროფის განვითარების შესაძლო ყველაზე უარესი სცენარი *(სურათი №4).*

სურათი №3



სურათი №4



ეროვნული უსაფრთხოების მიმოხილვა მუდმივ და უწყვეტ პროცესს წარმოადგენს, შესაბამისად, კატასტროფის რისკის შემცირების ღონისძიებების გატარების შედეგად, რიგ შემთხვევებში, შესაძლოა, შემცირდეს ან/და

აღმოიფხვრას საფრთხის დადგომის ალბათობა ან/და მოსალოდნელი უარყოფითი შედეგი (საშუალო, მაღალი ან ძალიან მაღალი რისკის დონიდან გადმოინაცვლებს საშუალო ან დაბალი რისკის ზონაში), რაც აისახება „საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტში“ უკვე იდენტიფიცირებული საფრთხეების პერიოდული გადახედვის და განახლების შემდეგ *(სურათი №5).*

სურათი №5



2.3. კრიზისების მართვის სისტემა

საქართველოში ისევე, როგორც ყველა განვითარებულ ქვეყანაში (მათ შორის ნატოსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებში) კრიზისების მართვის ოპერაციები ხორციელდება დაგეგმვისა და სამდონიანი მართვის პროცესის შესაბამისად - სტრატეგიულ (ოქროს დონე), ოპერაციულ (ვერცხლის დონე) და ტაქტიკურ (ბრინჯაოს დონე) დონეზე. ეს მოდელი უნივერსალურია და მისი მორგება შესაძლებელია ნებისმიერი სახის ოპერაციასა თუ ღონისძიებაზე.

სტრატეგიული დონე

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე იღებს სტრატეგიული ხასიათის გადაწყვეტილებას ფართომასშტაბიანი კრიზისული სიტუაციის მართვის და რეაგირების სამუშაოების ეფექტიანი განხორციელებისთვის. მართვის სტრატეგიული დონე განსაზღვრავს ჩარჩო-პროგრამას, რომლითაც კრიზისული სიტუაციის მართვის ოპერაციული დონე უზრუნველყოფს რეაგირებას (სურათი №6).

ოპერაციული დონე

ოპერაციულ დონეზე, სხვადასხვა უწყების წარმომადგენლისგან დაკომპლექტებული უწყებათაშორისი ოპერატიული ცენტრი (ანტიკრიზისული სამუშაო ჯგუფები), ახორციელებს კრიზისული სიტუაციის მართვისა და აღდგენითი სამუშაოების კოორდინაციას. ჯგუფების უწყებრივი წარმომადგენლობა დამოკიდებულია კრიზისული ვითარების ტიპზე.

ტაქტიკური დონე

ტაქტიკური დონე მოიცავს ერთი ან რამდენიმე უწყების წარმომადგენლისგან დაკომპლექტებულ ჯგუფს, რომელიც ინციდენტის ადგილზე უშუალოდ ახორციელებს კრიზისული სიტუაციის სალიკვიდაციო სამუშაოებს. ტაქტიკურ ჯგუფს ენიშნება კოორდინატორი (ხელმძღვანელი), რომელიც სამუშაოების სპეციფიკიდან გამომდინარე არის პასუხისმგებელი უწყების წარმომადგენელი. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური უზრუნველყოფს რეაგირების ძალების ხელმძღვანელობას. საველე ოპერაციების ცენტრს ხელმძღვანელობს შსს-დან დანიშნული უფლებამოსილი პირი.

კრიზისების მართვა ტაქტიკურ დონეზე

ეროვნული სისტემის შესაბამისი სუბიექტი

ისეთი საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში, რომლის სამართავად მისი ხასიათიდან გამომდინარე საკმარისია ეროვნული სისტემის ერთი სუბიექტის რეაგირების ძალები/საშუალებები.

ადგილობრივი საგანგებო შტაბი

ისეთი საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში, რომლის სამართავად, მისი ხასიათიდან გამომდინარე საჭიროა ერთი ან რამდენიმე მომიჯნავე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სხვადასხვა რეაგირების ძალები/საშუალებები.

საველე ოპერაციების შტაბ(ებ)ი

ოპერაციულ დონეზე საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მართვის პროცესში, არსებული სიტუაციის გათვალისწინებით შესაძლებელია შეიქმნას საველე ოპერაციების ერთი ან რამდენიმე შტაბი, რომელიც ადგილზე უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებას და ტაქტიკურ დონეზე რეაგირების ძალების მართვას.

სამოქალაქო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით, შსს-ს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური წარმოადგენს ეროვნული სისტემის ძირითად საოპერაციო ძალას.

გამონაკლის შემთხვევას წარმოადგენს განსაკუთრებით საშიშ პათოგენებსა და ბიოლოგიურ ინციდენტებზე რეაგირების შემთხვევა, რომელიც რეგულირდება საქართველოს მთავრობის №347 დადგენილებით და წამყვან უწყებებს წარმოადგენს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

სურათი №6



2.4. კრიზისული სიტუაციების მართვის ხელმძღვანელი პირი

სტრატეგიული დონის ხელმძღვანელი	• განსაზღვრავს სტრატეგიას და სტრატეგიულ მიზანს. • განსაზღვრავს ოპერაციული დონის ხელმძღვანელ(ებ)ის მიერ წარმოდგენილი საჭიროებების და მოთხოვნების პრიორიტეტულობას. • უზრუნველყოფს უწყებების დახმარებას რესურსებით და ამტკიცებს საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების მოთხოვნის შესახებ გადაწყვეტილებას.
ოპერაციული დონის ხელმძღვანელი	• იმუშავებს ტაქტიკურ გეგმას სტრატეგიული დონის (ოქრო) ხელმღვანელობის მიერ განსაზღვრული სტრატეგიული მიზნის მისაღწევად. • უზრუნველყოფს რეაგირების ძალების განლაგების კოორდინაციას. • კოორდინაციას უწევს ტაქტიკურ (ბრინჯაო) ჯგუფებს. • ანგარიშვალდებულია სტრატეგიული დონის (ოქრო) ხელმძღვანელის წინაშე.
ტაქტიკური დონის ხელმძღვანელი	• ხელმძღვანელობს სპეციფიკური ღონისძიებების შესრულებას ინციდენტის ადგილზე ადამიანების სიცოცხლის გადარჩენისა და შედეგების შემსუბუქების მიზნით. • ასრულებს ოპერაციული დონის (ვერცხლი) ხელმძღვანელის ინსტრუქციებს. • ანგარიშვალდებულია ოპერაციული დონის (ვერცხლი) ხელმძღვანელის წინაშე.

2.5. ეროვნული სიტუაციური ოთახი

ეროვნული მასშტაბის კრიზისული ვითარების დროს ხდება ეროვნული სიტუაციური ოთახის გააქტიურება უწყებათაშორის დონეზე. ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის დაქვემდებარებაში მყოფი კრიზისული ვითარების მართვის ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით, საქართველოს პრემიერ-მინისტრი და ეროვნული უსაფრთხოების საბჭო იღებს უმაღლესი დონის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს ეროვნული დონის კრიზისების ეფექტიანი მართვის მიზნით.

ეროვნულ სიტუაციურ ოთახში წარმოდგენილია ყველა ძირითადი სახელმწიფო უწყება, ეროვნული დონის კრიზისული სიტუაციის მართვის თაობაზე

რეკომენდაციების მომზადებისა და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით.

ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს ეროვნული სიტუაციური ოთახი 2016 წლიდან ფუნქციონირებს და შექმნილია დიდი ბრიტანეთის მოდელის, ე.წ. „კობრა“-ს (“COBRA”) მიხედვით, რომელიც, ამავდროულად მორგებულია ქართულ სპეციფიკას.

ფუნქციონირებს 6 (ექვსი) თემატური ჯგუფი

- **ერთიანი საინფორმაციო სურათის (CRIP) ჯგუფი**

სხვადასხვა ფუნქციური მიმართულებების მიხედვით აგროვებს სტრატეგიული მნიშვნელობის ინფორმაციას და ამზადებს ერთიან საინფორმაციო სურათს უმაღლესი ხელისუფლებისთვის.

- **პირველადი რეაგირების მართვის ჯგუფი**

ახორციელებს მორეაგირე ქვედანაყოფების მართვას სტრატეგიულ დონეზე, ანაწილებს ძალებს და საშუალებებს პრიორიტეტების მიხედვით, ახორციელებს ერთიანი საინფორმაციო ჯგუფების ინფორმირებას განვითარებული მოვლენებისა და გატარებული ღონისძიებების შესახებ.

- **შედეგების დაძლევის ჯგუფი**

ახორციელებს აღდგენითი სამუშაოების კოორდინაციას, უზრუნველყოფს მოსახლეობის ნორმალური ყოფის და ინფრასტრუქტურის ობიექტების ფუნქციონირების აღდგენით ღონისძიებებს.

- **საინფორმაციო-სადაზვერვო ჯგუფი**

შესაბამისი უწყებებიდან იღებს ოპერატიულ და სადაზვერვო ინფორმაციას ერთიანი საინფორმაციო სურათის შესაქმნელად და ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლებისთვის წარსადგენად (ჯგუფის გააქტიურება ხდება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში).

- **თავდაცვის ჯგუფი**

ჯგუფი კოორდინაციას უწევს საჯარისო რესურსების მობილიზებას და უზრუნველყოფს მათ გადანაწილებას სამოქალაქო ძალებისა და საშუალებების დასახმარებლად (ჯგუფის გააქტიურება ხდება განსაკუთრებულ შემთხვევებში და შესაბამისი პროცედურების მიხედვით).

- **მედია ჯგუფი**

აწარმოებს მედიასაშუალებების მონიტორინგს და ახდენს ერთიანი საინფორმაციო ჯგუფის ინფორმირებას. კრიზისული კომუნიკაციის ეფექტიანი განხორციელების მიზნით ამზადებს პრეს-რელიზებს და მთავრობის ოფიციალურ განცხადებებს.

ამრიგად, აღნიშნული სიტუაციური ოთახი:

- წარმოადგენს თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილ პუნქტს, საიდანაც ხორციელდება კრიზისული ვითარების მართვის კოორდინაცია;
- უზრუნველყოფს 100-მდე თანამშრომლის მუშაობისთვის საერთო სივრცეს, რაც მართვისა და კოორდინაციის ხარისხს აუმჯობესებს;
- აქტიურდება სტრატეგიულ და (შესაძლოა) ოპერაციულ დონეებზე კრიზისის შედეგების ლიკვიდაციაში ჩართული უწყებების წარმომადგენელთა კოორდინირებული მუშაობის მიზნით.

2.6. COVID-19 პანდემიის კონტექსტში მიღებული გამოცდილება

დღეს მსოფლიო დგას ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიით გამოწვეული გლობალური კრიზისის წინაშე.

საქართველოს მთავრობამ COVID-19-თან დაკავშირებული პოტენციური ზიანის შესამცირებლად და ყველა სექტორისთვის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, სათანადო ღონისძიებების გატარება პანდემიის ადრეულ ეტაპზევე დაიწყო. მთავრობამ მიზნად დაისახა ძალისხმევის ორი მიმართულებით მობილიზება: ერთი მხრივ, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვა, მეორე მხრივ კი, ქვეყნის ეკონომიკის გადარჩენა.

პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით შეიქმნა უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო, როგორც გადაწყვეტილებების მიმღები ძირითადი პლატფორმა, რომლის შემადგენლობაში არიან მთავრობის და პარლამენტის წევრები, პრეზიდენტის ადმინისტრაციის და ასევე, სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები.

საკოორდინაციო საბჭომ მოახდინა 4 (ოთხი) პრიორიტეტული მიმართულების იდენტიფიცირება: 1. ჯანდაცვა - მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვა; 2. ეკონომიკა - საქართველოს ეკონომიკის მართვა და აღდგენა გლობალური ეკონომიკური კრიზისის ფონზე; 3.

კანონი და წესრიგი - მოსახლეობის დაცვა; 4. მომარაგება და ლოგისტიკა - მოსახლეობისთვის საკვების უწყვეტი მომარაგების მენეჯმენტი.

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში შეიქმნა ოპერაციული შტაბი - სპეციალური ანტიკრიზისული უწყებათშორისი ჯგუფი და გააქტიურდა ეროვნული სიტუაციური ოთახი. საქართველოს ყველა რეგიონში ჩამოყალიბდა რეგიონული შტაბები გუბერნატორების ხელმძღვანელობით, რომლებიც, უწყებათშორის ფორმატში, უშუალოდ მართავდნენ პრევენციის და რეაგირების აქტივობებს რეგიონებში.

მსოფლიოში განვითარებული მოვლენების ანალიზმა ნათლად აჩვენა, რომ პანდემიის პირობებში, განვითარებული ქვეყნების ჯანდაცვის სისტემებიც კი უდიდესი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ და საქართველოც არ იყო გამონაკლისი. COVID-19-ზე რეაგირების პროცესში გამოვლინდა მნიშვნელოვანი ხარვეზები საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემების შესაძლებლობებში, ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსების მობილიზების კუთხით. მიუხედავად ამისა, საქართველოს ჯანდაცვის სისტემამ სწრაფად შეძლო პერსონალის და მასთან ერთად, რეაგირების სხვა შესაძლებლობების ადაპტირება.

პარალელურად, სამოქალაქო უსაფრთხოება უზრუნველყოფილი იყო სხვადასხვა სავალდებულო შეზღუდვების დაწესებით და საინფორმაციო კამპანიების წარმოებით (#დარჩისახლში, #დარჩისახლშიდარჩიუსაფრთხოდ, #stopcov და ა.შ.). სპეციალური საინფორმაციო ვებგვერდი www.StopCov.ge, ასევე, ხელმისაწვდომი იყო რამდენიმე ენაზე (მათ შორის ეთნიკური უმცირესობების ენებზე).

COVID პანდემიამ მნიშვნელოვანი ნეგატიური გავლენა მოახდინა ეკონომიკაზე - როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორზე. პანდემიის შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნით, საქართველოს ხელისუფლების მიერ შემუშავდა ანტიკრიზისული და პოსტკრიზისული გეგმები, რომელთა ამოსავალი პრინციპი - არსებული შეზღუდული რესურსებით რაც შეიძლება მეტი ადამიანის და ბიზნესის მაქსიმალური მოცვა და პანდემიის შემდეგ საქართველოს ეკონომიკის სწრაფი აღდგენის ხელშეწყობა იყო.

ამრიგად, COVID პანდემიამ წარმოაჩინა კოორდინირებული აქტივობებისა და პროაქტიული რეაგირების მნიშვნელობა წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინებით. ამ კონტექსტში, საქართველოს კრიზისების მართვის ეროვნულმა სისტემამ

წარმატებით უზრუნველყო სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებთან თავსებადი, კოორდინირებული პროცედურების დანერგვა ჯანდაცვის სერვისების შეუფერხებლად მიწოდების, ადამიანთა სიცოცხლის დაცვის, კერძო სექტორის ხელშეწყობისა და საკვების მომარაგების შეუფერხებელი მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით.

თუმცა, საქართველოს მთავრობა აღიარებს არსებული საკანონმდებლო ბაზის, მასთან დაკავშირებული გეგმებისა და პროტოკოლების გადახედვის და შემდგომი დახვეწის აუცილებლობას - გლობალური პანდემიის გავრცელების მასშტაბის ფონზე გამოვლენილი გამოწვევების გათვალისწინებით. შედეგად, მიღებული გამოცდილებისა და პრაქტიკის მხედველობაში მიღებით, მთავრობამ პრიორიტეტად დაისახა, პარტნიორ ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობით, სისტემის შემდგომი განვითარება, მისი მედეგობის და შესაძლებლობების გაძლიერებით, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს უფრო დაცულ და უსაფრთხო გარემოს.

3. ეროვნული კონცეპტუალური დოკუმენტების და სამართლებრივი ბაზის ზოგადი მიმოხილვა

საქართველოში მოქმედებს კრიზისების მართვის ცენტრალიზებული სისტემა, რომლის ფარგლებშიც, ერთიანი სამთავრობო მიდგომით, ხორციელდება კატასტროფების რისკების ეფექტიანი მართვა ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე. აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს კოორდინირებულ ეროვნულ რეაგირებას და ხელს უწყობს თანმიმდევრული უწყებათაშორისი ქმედებების განხორციელებას ბუნებრივი ან/და ადამიანური ფაქტორით გამოწვეული კატასტროფების და ეროვნული ინტერესებისთვის საფრთხის შემცველი სხვა კრიზისული ვითარების მიმართულებით მზაობის, პრევენციისა და რეაგირების მიზნით.

აღნიშნული სტრატეგიული მიზნიდან და არსებული საჭიროებებიდან გამომდინარე, სისტემა დამატებით ესწრაფვის როგორც შესაბამისი საკანონმდებლო და მარეგულირებელი სფეროს, ასევე ორგანიზაციული მართვის შესაძლებლობების დახვეწას კრიზისების ეფექტიანად მართვის მიმართულებით, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სამოქალაქო უსაფრთხოების კიდევ უფრო განმტკიცების პროცესს.

საქართველო განაგრძობს მსოფლიოში აპრობირებული საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას, ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას და პარტნიორ ქვეყნებთან ინტენსიური თანამშრომლობის განვითარებას ორმხრივ, რეგიონულ და საერთაშორისო ფორმატებში.

3.1. ეროვნული უსაფრთხოების მიმოხილვის პროცესი

2015 წელს ეროვნული უსაფრთხოების მიმოხილვის პროცესის ინსტიტუციონალიზაცია „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით იქნა უზრუნველყოფილი. პროცესი ეფუძნება ერთიან სამთავრობო მიდგომას, არის გამჭვირვალე, ღია და ფართო ჩართულობის, რაც, თავისთავად, გულისხმობს მჭიდრო უწყებათაშორის კოორდინაციას.

ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვა ხორციელდება ეროვნული და უწყებრივი დონეების კონცეპტუალური და ორგანიზაციული დოკუმენტების მეშვეობით.

აღნიშნულ პროცესში, ეროვნული დონის კონცეპტუალური დოკუმენტების შემუშავების მაკოორდინირებელი მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისია კოორდინაციას უწევს ეროვნული დონის კონცეპტუალური დოკუმენტების მომზადებას. ასევე, დოკუმენტების პერიოდული განახლების მიზნით, მიმდინარეობს კონსულტაციები და დისკუსიები როგორც უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფების ფორმატში, ასევე - პარტნიორი ქვეყნების, ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოების და აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან.

3.2. ეროვნული დონის კონცეპტუალური დოკუმენტები



ეროვნული დონის კონცეპტუალური დოკუმენტებია: ,,ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“, ,,საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტი“ და ასევე, უსაფრთხოების სფეროში ეროვნული სტრატეგიები.

„საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“ არის ფუძემდებლური დოკუმენტი, რომელიც განმარტავს ეროვნულ ღირებულებებსა და ინტერესებს, აყალიბებს ქვეყნის უსაფრთხო განვითარების ხედვას, განსაზღვრავს სახელმწიფოს წინაშე არსებულ საფრთხეებს, რისკებსა და გამოწვევებს და ადგენს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის ყველა ეროვნული და უწყებრივი დონის დოკუმენტი. საქართველოს მთავრობა შეიმუშავებს აღნიშნულ დოკუმენტს და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს პარლამენტს.

„საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტი“ ასახავს ეროვნული უსაფრთხოებისთვის არსებითი საფრთხის შემცველ სამხედრო, საგარეო-პოლიტიკურ, შიდაპოლიტიკურ, ჰიბრიდულ, ტრანსნაციონალურ, სოციალურ-ეკონომიკურ, ბუნებრივ და ადამიანური ფაქტორით გამოწვეულ საფრთხეებსა და გამოწვევებს. აღნიშნულ დოკუმენტს ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

,,ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ზემოაღნიშნულ დოკუმენტებში იდენტიფიცირებული საფრთხეებისა და რისკების შემცირების მიზნით, მუშავდება უსაფრთხოების სფეროში შესაბამისი ეროვნული და უწყებრივი დონის სტრატეგიული დოკუმენტები და მათი სამოქმედო გეგმები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ეროვნული უსაფრთხოების მიმოხილვის პროცესის ფარგლებში, „საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტში“ იდენტიფიცირებული რისკებისგან გამოწვეული ზიანის შემცირების ან/და აღმოფხვრის მიზნით, უწყებათაშორისი თანამშრომლობის ფორმატში, ხდება „საქართველოს კატასტროფის რისკის შემცირების ეროვნული სტრატეგიის“ და მისი სამოქმედო გეგმის შემუშავება. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია კონკრეტული პრევენციული ღონისძიებები, მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელი და საჭიროების შემთხვევაში დამხმარე უწყება/ორგანიზაციები, კონკრეტული ღონისძიების შესრულებისთვის საჭირო პერიოდი და დაფინანსების წყარო(ები) (სახელმწიფო ბიუჯეტი ან/და დონორი ორგანიზაციის დახმარება/გრანტი).

აღნიშნული სტრატეგია წარმოადგენს ეროვნული უსაფრთხოების მიმოხილვის პროცესის მნიშვნელოვან კომპონენტს, რომელიც მიზნად ისახავს კატასტროფის რისკის შემცირების სისტემის ჩამოყალიბებას, ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე მზაობისა და რეაგირების შესაძლებლობების განვითარებას ისევე, როგორც - შესაძლო საფრთხეების წინააღმდეგ სწრაფი და ეფექტიანი საპასუხო ქმედებების განხორციელებას.

შესაბამისად, არსებული სისტემა ეყრდნობა მთავრობის ერთიან მიდგომას და სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან *(„კატასტროფის რისკის შემცირების სენდაის სამოქმედო ჩარჩო-პროგრამა 2015-2030“ (მარტი, 2015); „მდგრადი განვითარების მიზნები“ (სექტემბერი, 2015; SDGs); „კლიმატის ცვლილების შესახებ ჩარჩო-კონვენცია“ (ივნისი, 1992; UNFCCC); ,,პარიზის შეთანხმება კლიმატის ცვლილებების თაობაზე“; „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება“ (ივნისი, 2014)).*

3.3. სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროს სამართლებრივი ბაზა

საქართველოს სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროს სამართლებრივი რეგულირება ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციით და შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოთი. მათ შორის აღსანიშნავია, საქართველოს კანონი ,,ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის

შესახებ“, საქართველოს კანონი „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“, საქართველოს კანონი „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ და ხსენებული საკანონმდებლო აქტების საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტები.

საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოს კონსტიტუცია, როგორც სახელმწიფოს უზენაესი კანონი, მოიცავს დებულებებს, რომლებიც, ბუნებრივი თუ ადამიანური ფაქტორით გამოწვეული კატასტროფების დადგომის დროს, ხელისუფლებას აძლევს საშუალებას, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, მიიღოს ზომები, რაც უზრუნველყოფს მოქალაქეების სიცოცხლისა და ქონების დაცვას ისევე, როგორც საზოგადოებრივი სერვისების უწყვეტობას.

„ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონი

„ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“ კანონით, ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის მაკოორდინირებელ უწყებას წარმოადგენს ეროვნული უსაფრთხოების საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული უსაფრთხოებისა და სახელმწიფო ინტერესებისთვის საფრთხის შემცველ საკითხებზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინფორმირებას და მის მიერ მისაღები პოლიტიკური გადაწყვეტილებების მომზადებას.

ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს საქმიანობის საინფორმაციო-ანალიტიკურ და ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს ეროვნული უსაფრთხოებისა საბჭოს აპარატი, რომლის შემადგენლობაშია კრიზისული ვითარების მართვის ეროვნული ცენტრი (დეპარტამენტი).

აღნიშნული ცენტრი, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, სხვა ფუნქციებთან ერთად უზრუნველყოფს სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვასა და კოორდინაციას, ფართომასშტაბიანი კრიზისული ვითარების დროს სახელმწიფო უწყებების კოორდინირებული მუშაობის ორგანიზებას, ეროვნული ინტერესებისთვის საფრთხის შემცველ ყველა ტიპის კრიზისულ ვითარებასთან დაკავშირებით სამოქმედო გეგმების შემუშავების კოორდინაციას, ახორციელებს სამოქალაქო უსაფრთხოების

საკითხებზე საბჭოს მდივნისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის საინფორმაციო-ანალიტიკურ უზრუნველყოფას.

,,სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი

საქართველოს კანონი ,,სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ გასაზღვრავს აღნიშნული მიმართულებით საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებებს, ფიზიკური და იურიდიული პირების უფლება-მოვალეობებს. ამავე დროს, კანონით განსაზღვრულია საგანგებო სიტუაციების კატეგორიზაციის პროცედურები, მასზე რეაგირების დონეები და კრიზისის მართვის ძირითადი ფაზები.

ამ კანონით, შსს-ს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური - წარმოადგენს ეროვნული სისტემის ძირითად საოპერაციო ძალას. ამასთანავე, აღნიშნული კანონის (მე-16 მუხლის, მე-14 პუნქტის) თანახმად, საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მიზნით, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას თავდაცვის ძალების შესაბამისი დანაყოფები ან განხორციელდეს რეზერვში ჩარიცხულ პირთა მობილიზაცია, რაც, ასევე გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით (მე-8 თავის 72-ე მუხლი). შესაბამისად, თავდაცვის სამინისტრო უფლებამოსილია გააქტიუროს სისტემა ,,პეგასი“, რომელშიც, საჭიროების შემთხვევაში, ჩაერთვებიან თავდაცვის ძალების სტრუქტურული ქვედანაყოფები.[1]

ასევე, ,,სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ კანონიდან გამომდინარე, საგანგებო მართვის გეგმების მომზადების წესებს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობის №452 დადგენილება „საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ“. ამ დადგენილების მიხედვით, კატასტროფის რისკის მართვის (პრევენცია, მზადყოფნა, რეაგირება და აღდგენა) ღონისძიებები განისაზღვრება მოსალოდნელი საგანგებო სიტუაციის ცალკეული სცენარების

---

[1] *შენიშვნა: სისტემა ,,პეგასი“ ხელს უწყობს შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საქმიანობას და საჭიროების შემთხვევაში, ეხმარება ცოცხალი ძალით, თავდაცვის ძალებში არსებული სპეციალური ტექნიკური საშუალებებით და უწყების სპეციფიური შესაძლებლობებით. გვარდიისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლობის მიმართულებები, ასევე გამყარებულია ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმით, რომელსაც SNGP-ის ფარგლებში 2021 წელს მოეწერა ხელი. თავდაცვის სამინისტროსა და თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილების საფუძველზე, შესაძლებელია გააქტიურდეს ალტერნატიული სამოქმედო გეგმა.*

მიხედვით. შესაბამისად, საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების მართვა შესაძლებელია განხორციელდეს ეროვნულ, ავტონომიური რესპუბლიკის, სამხარეო, ადგილობრივ და საობიექტო დონეზე.

საგანგებო მართვის გეგმების მომზადების პროცესში რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და შეფასება „საგანგებო სიტუაციის რისკის მართვის მომზადების წესების შემუშავების შესახებ“ საქართველოს მთავრობის №453 დადგენილების მიხედვით ხორციელდება. ასევე, აღნიშნული დადგენილებით ხდება საგანგებო სიტუაციის ზეგავლენის, მოწყვლადობის და მედეგობის შეფასება ისევე, როგორც რისკის განვითარების სცენარების განსაზღვრა და რისკის რუკების შემუშავება.

საქართველოს მთავრობის №508 დადგენილება ,,სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის შესახებ“

,,სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა რგოლისა და მუნიციპალიტეტების ორგანოების საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში საქმიანობის კოორდინაციის უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავებულია საქართველოს მთავრობის №508 დადგენილება - ,,სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმა“. ამ დადგენილებით, ეროვნულ დონეზე განსაზღვრულია საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მზადყოფნის, რეაგირებისა და აღდგენითი სამუშაოების უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი სამინისტროების (სამინისტროს პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები, მხარდამჭერი უწყებები და ორგანიზაციები) და მუნიციპალიტეტების ფუნქცია-მოვალეობები.

4. საერთაშორისო თანამშრომლობა

მსოფლიოში გახშირებული ბუნებრივი კატასტროფების და მიღებული ზარალის ზრდის შედეგად, თანამედროვე მსოფლიო თანამეგობრობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამოქმედო მიმართულებას წარმოადგენს კატასტროფის რისკის ეფექტიანი მართვა, კრიზისების მართვის ეროვნული სისტემის გამართული ფუნქციონირება, შესაბამისი უნარ-ჩვევებისა და ტექნიკური შესაძლებლობების დახვეწა, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს კრიზისის დროს დამდგარი არასასურველი შედეგების შემცირებას.

აღნიშნული მიმართულებით საქართველო აქტიურად თანამშრომლობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან (გაერო), ევროკავშირთან, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასთან (ნატო), აშშ-სთან, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოსა და აგრეთვე, საქართველოში დაფუძნებულ დონორ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და მეზობელ სახელმწიფოებთან. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა რეგიონულ პროექტებში საერთაშორისო თანამშრომლობას. ხდება მსოფლიოში აპრობირებული საუკეთესო მიდგომებისა და გამოცდილების გაზიარება.

4.1. საქართველო და გაერო

საქართველო, როგორც არაერთი საერთაშორისო შეთანხმების ხელმომწერი ქვეყანა, კატასტროფის რისკის მართვის სფეროში, უზრუნველყოფს გაეროს ძირითადი გლობალური ჩარჩო დოკუმენტების ინტეგრირებას, კერძოდ: „კატასტროფის რისკის შემცირების სენდაის 2015-2030 წ.წ. სამოქმედო ჩარჩო-პროგრამა“, „მდგრადი განვითარების მიზნები“, გაეროს „კლიმატის ცვლილების შესახებ ჩარჩო-კონვენცია“ და ,,პარიზის შეთანხმება კლიმატის ცვლილებების თაობაზე“.

ასევე, აღნიშნული მიმართულებით საქართველო აქტიურად თანამშრომლობს გაეროს ჰუმანიტარული დახმარების კოორდინაციის ოფისთან (UN Office for the Coordination of Humanitarian Affairs, UN OCHA), ისევე, როგორც მნიშვნელოვან მხარდაჭერას იღებს კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების

რისკის შემცირების მიმართულებით გაეროს განვითარების პროგრამის (United Nations Development Programme, UNDP) შესაბამისი პროექტების ფარგლებში.

4.2. საქართველო და ევროკავშირი

„ასოცირების შესახებ შეთანხმება“, რომელსაც ხელი 2014 წლის ივნისში მოეწერა, საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის სამოქმედო გეგმაა და ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მოიცავს. დარგობრივი პოლიტიკის სფეროებში თანამშრომლობა მიზნად ისახავს ევროკავშირის სტანდარტებთან საქართველოს ეტაპობრივ დაახლოებას, პოლიტიკურ ასოცირებას და ეკონომიკურ ინტეგრაციას. შეთანხმება ითვალისწინებს თითოეულ სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას, გამოცდილების გაზიარებასა და ევროკავშირის მხრიდან შესაბამისი რეფორმების მხარდაჭერას.

ევროკავშირთან „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ ფარგლებში საქართველო იღებს ვალდებულებებს, განსაზღვრულ ვადებში, ეტაპობრივად დაუახლოოს საკუთარი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობასა და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებს.

ასევე, ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრულია თანამშრომლობის განვითარება ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორით გამოწვეული კატასტროფების პრევენციის, მზადყოფნისა და რეაგირების მიმართულებით. აღნიშნული თანამშრომლობა, კატასტროფის რისკის შემცირების ფორმატში, მოიცავს შემდეგ მიზნებს:

- ინსტიტუციური კავშირები და ხელშეწყობა;
- ინფორმაცია, განათლება და კომუნიკაციები;
- საუკეთესო პრაქტიკა, რომელიც მიმართულია ბუნებრივი საფრთხეების რისკის პრევენციის ან ზემოქმედების შემცირებისაკენ;
- თანამშრომლობა კატასტროფის მართვის მიზნით კატასტროფის, საფრთხეებისა და რისკების შეფასების შესახებ საინფორმაციო ბაზის დასახვეწად;
- თანამშრომლობა გარემოსა და საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე ბუნებრივი ან/და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული საფრთხეების ზემოქმედების შეფასების მიმართულებით.

ასევე, საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირის შესაბამის სტრუქტურებთან კატასტროფების პრევენციის, მზადყოფნისა და რეაგირების მიმართულებით შესაბამისი შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით. ამ

მხრივ აღსანიშნავია, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურსა და ევროკომისიის სამოქალაქო უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული დახმარების გენერალურ დირექტორატს (European Commission's Directorate-General for European Civil Protection and Humanitarian Aid Operations) შორის გაფორმებული ადმინისტრაციული შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს ბუნებრივი და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების მართვის სფეროში მხარეებს შორის თანამშრომლობას. ასევე, აღნიშნული ხელშეკრულებით, ევროკავშირი ეხმარება საქართველოს სამოქალაქო დაცვის შესაძლებლობების გაუმჯობესებაში ევროკავშირის სამოქალაქო დაცვის მექანიზმთან (EU Civil Protection Mechanism) ეტაპობრივად დაახლოების მიზნით.

ამ მიმართულებით, ასევე, აღსანიშნავია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამა - პრევენცია, მზადყოფნა და რეაგირება ბუნებრივ და ტექნოგენურ კატასტროფებზე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში (Prevention, Preparedness and Response to Natural and Man-made Disasters in the Eastern Partnership Counties, PPRD East 3), რომელიც, თავის მხრივ, ხელს უწყობს რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერებას და პარტნიორი ქვეყნების (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, მოლდოვა, უკრაინა) ევროკავშირის სამოქალაქო დაცვის მექანიზმთან დაახლოებას.

საქართველო, ასევე, თანამშრომლობს ევროკავშირის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების კოორდინაციის ცენტრთან (Emergency Response Coordination Center, ERCC), რომელიც წარმოადგენს ევროკავშირის სამოქალაქო დაცვის მექანიზმის განუყოფელ ნაწილს და უზრუნველყოფს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ან მის ფარგლებს გარეთ კრიზისში მყოფი ქვეყნისთვის შესაბამისი დახმარების მიწოდების კოორდინაციას.

აქვე, აღსანიშნავია ევროკავშირის პროგრამა ,,უსაფრთხოების, ანგარიშვალდებულებისა და საქართველოში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის" (EU4 Security, Accountability and Fight against Crime, EU SAFE) მიმართულებით, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს უსაფრთხოების სექტორის გაძლიერებას შესაბამისი აღჭურვილობის გადმოცემით და პერსონალის შესაძლებლობების განვითარების უზრუნველყოფით.

4.3. საქართველო და ნატო

კრიზისების მართვის მიმართულებით, ინსტიტუციურ დონეზე, ნატო-საქართველოს თანამშრომლობა ძირითადად გამოიხატება ალიანსის შესაბამის სტრუქტურებთან მჭიდრო თანამშრომლობით, როგორიცაა - ნატოს სამოქალაქო საგანგებო სიტუაციების დაგეგმვის კომიტეტი (NATO Civil Emergency Planning Committee, CEPC) და კატასტროფებზე რეაგირების ევროატლანტიკური კოორდინაციის ცენტრი (Euro-Atlantic Disaster Response Coordination Centre, EADRCC). ეს თანამშრომლობა მიზნად ისახავს აღნიშნულ სტრუქტურებთან მუდმივ კოორდინაციაში ყოფნას, ინფორმაციის გაცვლას, შესაბამის ტრენინგებსა და ღონისძიებებში მონაწილეობას და ეროვნული მდგრადობის უზრუნველყოფას ნატოს ძირითადი პირობის/მოთხოვნის ფარგლებში (NATO's Baseline Requirements for National Resilience).

ამასთან, ნატოსთან ინტენსიური თანამშრომლობის პრაქტიკულ მაგალითს წარმოადგენს ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (Substantial NATO-Georgia Package, SNGP) ფარგლებში არსებული კრიზისების მართვის ინიციატივა. ალიანსის მხრიდან აღნიშნულ ინიციატივას ხელმძღვანელობს დანიის სამეფოს თავდაცვის სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო (Danish Emergency Management Agency, DEMA), ხოლო ქართული მხრიდან - ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის ქვეშ მოქმედი კრიზისული ვითარების მართვის ეროვნული ცენტრი (დეპარტამენტი). ასევე, კრიზისების მართვის ინიციატივის ფარგლებში განსაზღვრული მიზნების წარმატებით განხორციელების კუთხით ქართული მხრიდან პასუხისმგებელნი არიან თავდაცვის სამინისტროს ეროვნული გვარდია და შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური.

საქართველოს უსაფრთხოებისა და თავდაცვის სექტორის პროფესიული შესაძლებლობების გაძლიერება, მათ შორის კრიზისების მართვის მიმართულებით, ნატო-საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამის (NATO-Georgia Professional Development Programme, PDP) ფარგლებში შესაბამისი ტრენინგების, სემინარების და პრაქტიკული კონსულტაციების საშუალებით ხორციელდება. ნატო-ს შტაბ-ბინის საერთაშორისო სამსახურის მხარდაჭერით, აღნიშნული პროგრამის მენეჯმენტს უზრუნველყოფს PDP-ის გუნდი, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოში არსებულ ნატოს სამეკავშირეო ოფისთან (NATO Liaison Office, NLO).

5. გამოყენებული ტერმინები

ინციდენტი - შემთხვევა, რომელიც აშკარა საფრთხეს არ უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას და რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს გარემოს, ფიზიკური/იურიდიული პირის, სახელმწიფო ან/და მუნიციპალურ ქონებას.

კატასტროფა - საგანგებო სიტუაციის ერთ-ერთი სახე, რომელიც იწვევს საზოგადოების ფუნქციონირების მნიშვნელოვან მოშლას. აღნიშნული მოიცავს ფართომასშტაბიან ადამიანურ, მატერიალურ, ეკონომიკურ ან ეკოლოგიურ დანაკარგს. კატასტროფის შედეგი შეიძლება იყოს ადამიანური მსხვერპლი ან ჯანმრთელობის დაზიანება, ეკონომიკური და ეკოლოგიური ზარალი, სოციალური ინფრასტრუქტურის მოშლა.

ბუნებრივი კატასტროფის საფრთხე - ბუნებრივი მოვლენა, რომელმაც, შესაძლოა, გამოიწვიოს ადამიანთა მსხვერპლი და ჯანმრთელობის დაზიანება, ეკონომიკური და ეკოლოგიური ზარალი, სოციალური ინფრასტრუქტურის მოშლა. ბუნებრივ საფრთხეებს მიეკუთვნება: მიწისძვრა, წყალდიდობა, მეწყერი, ზვავი, გვალვა, ძლიერი ქარი და ა.შ.

ადამიანური ფაქტორით გამოწვეული (ტექნოგენური) კატასტროფის საფრთხე - ტექნოგენური ან/და ინდუსტრიული პირობებიდან წარმოშობილი საფრთხე, რომელმაც, შესაძლოა, გამოიწვიოს ადამიანთა მსხვერპლი და ჯანმრთელობის დაზიანება, ეკონომიკური და ეკოლოგიური ზარალი, სოციალური ინფრასტრუქტურის მოშლა. ტექნოგენურ საფრთხეებს განეკუთვნება ინდუსტრიული ავარიები, სახიფათო საწარმოო პროცესები, ინფრასტრუქტურის მოშლა და სხვ.

კატასტროფის რისკი - განსაზღვრული დროის პერიოდში შესაძლო ან წარმოქმნილი კატასტროფის მოსალოდნელი შედეგი, რომელიც გამოიხატება ისეთ უარყოფით დანაკარგებში, როგორიცაა: სიცოცხლის მოსპობა, ჯანმრთელობის დაზიანება, მნიშვნელოვანი ეკონომიკური თუ ეკოლოგიური ზიანი, სოციალური ინფრასტრუქტურის მოშლა.

კატასტროფის რისკის მართვა - სისტემური პროცესი, რომლის დროსაც ხდება ადმინისტრაციული, ინსტიტუციური, საოპერაციო უნარებისა და შესაძლებლობების მობილიზება პოტენციურ საფრთხეებთან ბრძოლის შესაძლებლობების გაზრდის ან კატასტროფის დადგომის შემთხვევაში, უარყოფითი შედეგების მასშტაბისა და ინტენსივობის მინიმუმამდე შემცირების მიზნით. ეს ტერმინი პროცედურულად მოიცავს კატასტროფის რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას, რისკის შემცირებას და მზაობის უზრუნველყოფას.

კატასტროფის რისკის იდენტიფიცირება - შესწავლისა და მეთოდოლოგიის საფუძველზე კატასტროფის პოტენციური რისკების გამოვლენა, რომლებმაც, შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა იქონიონ ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე, ეკონომიკასა და ეკოლოგიაზე.

კატასტროფის რისკის შეფასება - შესაბამისი მეთოდოლოგიით საფრთხეების ანალიზისა და მოწყვლადობის პირობების გათვალისწინებით, შესაძლო ადამიანური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და პოლიტიკური ზეგავლენისა და ალბათობის დადგენა. ასევე, რისკის შეფასება სავარაუდო განვითარების სცენარების შემუშავებასაც გულისხმობს.

კატასტროფის რისკის შემცირება - ღონისძიებების ერთობლიობა, რომლებიც ქმნიან რისკის შემცირების კონცეფციას და უზრუნველყოფენ უკვე იდენტიფიცირებული და შეფასებული კატასტროფის რისკის შემცირებას ან/და თავიდან აცილებას.

მზაობა - მთავრობების, ორგანიზაციების ან/და თემების მიერ წინასწარ მიღებული შესაძლებლობები და ცოდნა, ასევე დაგეგმილი ღონისძიებები კატასტროფის დროს ეფექტიანი რეაგირების განსახორციელებლად, რაც, ასევე მოიცავს დროულ და ეფექტურ წინასწარ გაფრთხილებას, ადამიანებისა და საკუთრების დროებით გადაადგილებას სახიფათო ზონიდან. რისკის მართვა თავისი მთლიანი ციკლით: იდენტიფიცირებით, შეფასებითა და შემცირებით უზრუნველყოფს მთავრობების, ორგანიზაციებისა თუ თემების მზაობას მოსალოდნელი კატასტროფისადმი.

რეაგირება - კატასტროფის დადგომის შემთხვევაში ადამიანთა სიცოცხლის გადარჩენა და ჯანმრთელობაზე უარყოფითი გავლენის შემცირება, შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების განხორციელება, ზიანის შემცირება, საზოგადოების უსაფრთხოებისა და კატასტროფის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანებისთვის მინიმალური საარსებო პირობების უზრუნველყოფა. რეაგირების დროს პირველ რიგში ყურადღება მახვილდება გადაუდებელ და მოკლევადიან საჭიროებებზე. რეაგირების ფარგლებში მიმდინარე ზოგიერთი ღონისძიება შესაძლებელია გაგრძელდეს აღდგენის ეტაპზეც.

აღდგენა - სარეაბილიტაციო და სარეკონსტრუქციო ფაზა, რომელიც მოიცავს რეაგირების შემდეგ განსახორციელებელ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ დაზარალებული პირებისათვის საარსებო პირობების აღდგენა - გაუმჯობესებას.

მოწყვლადობა - თემის, სისტემის ან ქონების ისეთი მახასიათებლები და გარემოებები, რომლებიც განაპირობებენ მათ დაუცველობას საფრთხის საზიანო ზემოქმედებისგან.

მედეგობა - საზოგადოების, ორგანიზაციის ან/და სისტემის შესაძლებლობა დროულად აღუდგეს, ეფექტიანად გაუმკლავდეს საფრთხეს, მოახდინოს მისი შედეგების ლიკვიდაცია და აღდგენა.

მდგრადი განვითარება - განვითარება, რომელიც აკმაყოფილებს არსებული თაობების საჭიროებებს ისე, რომ საფრთხეს არ უქმნის მომავალი თაობების შესაძლებლობას, დაიკმაყოფილოს საკუთარი საჭიროებები.

კლიმატის ცვლილება - ისეთი მოვლენა, რომელიც ათეული წლების ან უფრო მეტი დროის განმავლობაში მიმდინარეობს და გამოწვეულია ბუნებრივი მიზეზებით ან ადამიანის ქმედების შედეგად.

საგანგებო სიტუაცია - გარკვეულ ტერიტორიაზე/ტერიტორიებზე ან ობიექტზე/ობიექტებზე შექმნილი ისეთი ვითარება/ვითარებათა ერთობლიობა, რომლის დროსაც ირღვევა ადამიანთა ყოფა-ცხოვრების ნორმალური პირობები და რომელიც აშკარა საფრთხეს უქმნის ან რომელმაც შეიძლება აშკარა საფრთხე შეუქმნას ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას ან/და რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს გარემოს, ფიზიკური/იურიდიული პირის, სახელმწიფო ან/და მუნიციპალურ ქონებას.

საგანგებო სიტუაციის მართვა - პასუხისმგებელი ორგანიზაციის მიერ შესაბამისი რესურსებით კატასტროფის რისკის იდენტიფიცირების, შეფასების, შემცირების, მზაობის, რეაგირებისა და აღდგენითი სამუშაოების უზრუნველყოფა.

კრიზისული ვითარება - ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში, ბუნებრივი, ტექნოგენური ან/და ადამიანური ფაქტორ(ებ)ით გამოწვეული ეროვნული მასშტაბის ინციდენტის შედეგად წარმოქმნილი ან მოსალოდნელი ვითარება, როდესაც საფრთხე ექმნება ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების გამართულ ფუნქციონირებას და დამდგარი მდგომარეობის ეფექტიანი მართვის უზრუნველსაყოფად აუცილებელია პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება.

კრიზისების მართვის სისტემა - კრიზისული მდგომარეობის მართვის სტრატეგიული, ოპერაციული და ტაქტიკური დონე და მათში შემავალი სუბიექტების ერთობლიობა.

ეროვნული სიტუაციური ოთახი - შესაბამისი ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებებით აღჭურვილი პუნქტი, საიდანაც ხდება კრიზისული მდგომარეობის სტრატეგიული და ოპერაციული მართვის განხორციელება. ეროვნული სიტუაციური ოთახი ფუნქციონირებს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატში.

„სენდაის სამოქმედო ჩარჩო-პროგრამა 2015-2030“ - გაერთიანებული ერების კატასტროფის რისკის შემცირების საერთაშორისო ინსტრუმენტი, რომელიც ქვეყნებს შორის კატასტროფების მიმართ მდგრადობის დამკვიდრების მიზნით იქნა შექმნილი და რომელიც 2015 წელს იაპონიის ქალაქ სენდაიში იქნა მიღებული. სენდაის პროგრამის მიზანია 2030 წლისათვის სტიქიური უბედურებებით გამოწვეული ზიანის, კერძოდ კი,

ადამიანური მსხვერპლის და ქვეყნების სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური რესურსების განადგურების რისკის მნიშვნელოვნად შემცირება.

„საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება“ - საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის სამოქმედო გეგმა, რომელსაც ხელი 2014 წლის ივნისში მოეწერა და რომელიც ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მოიცავს.

„ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი“ - 2014 წლის ნატოს უელსის სამიტზე საქართველომ, თავდაცვისა და უსაფრთხოების შესაძლებლობების აღმშენებლობის ინიციატივის ფარგლებში მიიღო ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი, რომელიც ქვეყნის თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებას, მდგრადობის გაძლიერებას, ნატოსთან თავსებადობის ამაღლებასა და საქართველოს ალიანსში გაწევრიანების მზადების პროცესის ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

6. გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ოფიციალური ვებ-გვერდი: https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36
2. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ოფიციალური ვებგვერდი: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/43156?publication=0
3. საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტის ღია ნაწილი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ოფიციალური ვებგვერდი: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1032959?publication=0
4. საქართველოს მთავრობის დადგენილება №4 საქართველოს კატასტროფის რისკის შემცირების ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ოფიციალური ვებგვერდი: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3547798?publication=0
5. საქართველოს კანონი ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ოფიციალური ვებგვერდი: https://matsne.gov.ge/document/view/2764463?publication=9
6. ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს ოფიციალური ვებ-გვერდი: https://nsc.gov.ge/ka
7. ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის დებულება, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ოფიციალური ვებგვერდი: https://matsne.gov.ge/document/view/4617877?publication=0
8. საქართველოს კანონი სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ოფიციალური ვებგვერდი: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2363013?publication=10
9. საქართველოს მთავრობის №508 დადგენილება სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ოფიციალური ვებგვერდი: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2993918?publication=0
10. საქართველოს მთავრობის №452 დადგენილება საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე,

ოფიციალური ვებგვერდი: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3824628?publication=0
11. საქართველოს მთავრობის №453 დადგენილება საგანგებო სიტუაციის რისკის მართვის დაგეგმვის მომზადების წესების შემუშავების შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ოფიციალური ვებგვერდი: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3824640?publication=0
12. საქართველოს მთავრობის №347 დადგენილება განსაკუთრებით საშიშ პათოგენებსა და ბიოლოგიურ ინციდენტებზე რეაგირების შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ოფიციალური ვებგვერდი: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2344612?publication=0
13. ეროვნული სიტუაციური ოთახი, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს ოფიციალური ვებ-გვერდი: https://nsc.gov.ge/ka
14. კატასტროფის რისკის შემცირების სენდაის 2015-2030 წ.წ. სამოქმედო ჩარჩო-პროგრამა, ოფიციალური ვებგვერდი: https://www.undrr.org/publication/sendai-framework-disaster-risk-reduction-2015-2030
15. გაეროს კლიმატის ცვლილების შესახებ ჩარჩო კონვენცია, ოფიციალური ვებგვერდი: https://unfccc.int/resource/docs/convkp/conveng.pdf
16. პარიზის შეთანხმება კლიმატის ცვლილებების თაობაზე, ოფიციალური ვებგვერდი: https://unfccc.int/process-and-meetings/the-paris-agreement/the-paris-agreement
17. გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები, ოფიციალური ვებგვერდი: https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/post-2015.html
18. UNDP პროგრამა - კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება საქართველოში, ოფიციალური ვებგვერდი: https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/projects/gcf.html
19. გაეროს ჰუმანიტარული დახმარების კოორდინაციის ოფისი, გაეროს ოფიციალური ვებგვერდი: https://www.unocha.org/about-ocha
20. საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ოფიციალური ვებგვერდი: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0
21. საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება, ევროკავშირის ოფიციალური ვებგვერდი: https://www.eeas.europa.eu/delegations/georgia/eugeorgia-association-agreement_en
22. აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის პრევენციის, მზადყოფნისა და რეაგირების პროგრამა ბუნებრივ და ტექნოგენურ კატასტროფებზე, ოფიციალური ვებგვერდი: https://www.pprdeast3.eu/
23. ევროკავშირის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების კოორდინაციის ცენტრი, ევროკავშირის ოფიციალური ვებგვერდი: https://ec.europa.eu/echo/what/civil-protection/emergency-response-coordination-centre-ercc_en#ecl-inpage-602

24. ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაფორმება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურსა და ევროკომისიის სამოქალაქო უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული დახმარების გენერალურ დირექტორატს შორის, ევროკავშირის ოფიციალური ვებგვერდი, https://www.euneighbours.eu/en/east/stay-informed/news/eu-and-georgia-strengthen-cooperation-civil-protection-and-disaster-risk
25. ნატოს სამოქალაქო საგანგებო სიტუაციების დაგეგმვის კომიტეტი , ნატოს ოფიციალური ვებგვერდი: https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_50093.htm
26. კატასტროფებზე რეაგირების ევროატლანტიკური კოორდინაციის ცენტრი, ნატოს ოფიციალური ვებგვერდი: https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_52057.htm
27. ნატოს ძირითადი პირობა/მოთხოვნა სამოქალაქო მზადყოფნის მიმართულებით, ნატოს ოფიციალური ვებგვერდი: https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_49158.htm
28. ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი: https://mod.gov.ge/ge/page/65/arsebiti-paketi
29. ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი, ნატოს ოფიციალური ვებგვერდი: https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_132756.htm?selectedLocale=en
30. დანიის საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო, ოფიციალური ვებ-გვერდი: https://www.brs.dk/en/
31. ნატოს სამეკავშირეო ოფისი საქართველოში, ნატოს ოფიციალური ვებგვერდი: https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_81066.htm
32. ნატო-საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამა, ოფიციალური ვებგვერდი: https://www.nato.int/nato_static_fl2014/assets/pdf/topics_graphics/20111122_nato-georgia-pdp.pdf





ეროვნული სიტუაციური ოთახი